საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-528

13/06/2019

ქ. თბილისი

„საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფ. პატარძეულში შპს „ქურა ბეისინ ოფერეითინგ ქომფანის“ ნინოწმინდის ნავთობშემკრები ბაზის ტერიტორიაზე 4 600 კუბ.მ ჯამური მოცულობის ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაციაზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2017 წლის 21 აგვისტოს №ი-604 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

მიმდინარე წლის 6 ივნისს სამინისტროს განცხადებით მომართა შპს „ქურა ბეისინ ოფერეითინგ ქომფანის“ დირექტორმა და ითხოვა სამინისტროს მიერ 2017 წლის 21 აგვისტოს გაცემული №56 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე გაცემული გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაუქმება.

2017 წლის საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ შპს „ქურა ბეისინ ოფერეითინგ ქომფანის“ 4 600 კუბ.მ ჯამური მოცულობის ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაციის პროექტზე გაიცა ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა (№56; 17.08.2017; საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, სოფ. პატარძეული), და გარემოზე ზემოქმედების ნებართვა (№000275; 21.08.2017).

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-5 მუხლის მე-6 ნაწილიდან გამომდინარე, გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას არ საჭიროებს ნავთობისა და გაზის ოპერაციებთან დაკავშირებული საქმიანობა, რომელიც რეგულირდება შესაბამისი სფეროს კანონმდებლობით. საქართველოში ნავთობისა და გაზის ძებნა-ძიების, მოპოვების, მომზადების და შენახვის ოპერაციებს არეგულირებს „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონი და „ნავთობისა და გაზის ოპერაციების წარმოების მარეგულირებელი ეროვნული წესები“. აღნიშნული კანონმდებლობის თანახმად, სსიპ ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტოს კომპეტენციაში შედის სკოპინგის ანგარიში, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის და გარემოს დაცვის გეგმის განხილვა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღება.

შპს „ქურა ბეისინ ოფერეითინგ ქომფანი“ გეგმავს მის სარგებლობაში არსებული ნინოწმინდის ნავთობშემკრები ბაზის (საგარეჯოს რაიონი, სოფელი პატარძეული) ტერიტორიაზე 1000m^3 ტევადობის ორი ახალი რეზერვუარის მოწყობას. ნავთობის საცავი

ემსახურება მოპოვებული ნავთობის შეგროვებას, მომზადებას მისი შემდგომი გაყოფის მიზნით და შესაბამისად აწარმოებს ნავთობისა და გაზის ოპერაციებს. ზემოაღნიშნული რეზერვუარების ექსპლუატაციაში შეყვანისათვის საჭიროა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის ახალი რედაქციის დამტკიცება „ნავთობისა და გაზის ოპერაციების წარმოების მარეგულირებელი ეროვნული წესები“ 143-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად. სსიპ „ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტომ“ დაამტკიცა შესაბამისი სკოპინგის დასკვნა და ამჟამად გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის განხილვის პროცესშია.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შპს „ქურა ბეისინ ოფერეითინგ ქომფანის“ წერილისა და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფ. პატარძეულში შპს „ქურა ბეისინ ოფერეითინგ ქომფანის“ ნინოწმინდის ნავთობშემკრები ბაზის ტერიტორიაზე 4 600 კუბ.მ ჯამური მოცულობის ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაციაზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2017 წლის 21 აგვისტოს №ი-604 ბრძანება;
2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „ქურა ბეისინ ოფერეითინგ ქომფანის“;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ქურა ბეისინ ოფერეითინგ ქომფანის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
4. ბრძანების გაცემიდან 3 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი